განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

25 ივნისი, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0313
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ფანცულაია - ადრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გვაძაბია - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან ბოჭორიშვილი - საკონსულტაციო და თერაპიული ცენტრი „პირველი ნაბიჯი“, საქართველო

სარჩევი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 4

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 5

1.1. პროგრამის მიზნები 5

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 9

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 9

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 10

2.3. სასწავლო კურსი 12

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება 13

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები 14

2.6. სტუდენტების შეფასება 15

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 17

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება 17

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა 19

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 20

4.1. ადამიანური რესურსი 20

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება 22

4.3. მატერიალური რესურსი 23

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა 25

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 26

5.1. შიდა ხარისხის შეფასება 26

5.2. გარე ხარისხის შეფასება 27

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება 28

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა 29

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიმართულია თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, საფეხურის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მქონე ისეთი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფლებას, პრაქტიკულ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტის ფარგლებში (8 სემესტრი) ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის არის (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (50 კრედიტი, მათ შორის ინგლისური ენა 30 კრედიტი), (ბ) ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (120 კრედიტი, მათ შორის საბაკალავტო ნაშრომი (10 კრედიტი) და პრაქტიკა (10 კრედიტი)) და (გ) საუნივერსიტეტო არჩევითი, სპეციალობისა და არასპეციალობის არჩევითი საგნების კომბინაცია (70 კრედიტი). აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბაკალავრო პროგრამის „ფსიქოლოგია“ შეფასება 2020 წლის 7 მაისს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო საფეხურის მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო პროგრამა „ფსიქოლოგია“ ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - o სავალდებულო კურსების: კვლევის მეთოდების, სოციალური ფსიქოლოგიის, განვითარების ფსიქოლოგიის, პიროვნების ფსიქოლოგიისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის მოცულობის გაზრდა (5 კრედიტის ნაცვლად 10 კრედიტი).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ის მისიასთან სრული თავსებადობის პირობებში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს და ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მიაწოდოს ფსიქოლოგიის სფეროში მოღვაწე, სამუშაო ბაზრისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების მქონე, მაღალზნეობრივი, მაღალკვალიფიცირებული და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები (ბაკალავრები), რომლებსაც ექნებათ ფსიქოლოგიის სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნადა უნარები. პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ ფსიქოლოგიის დარგების ძირითად დისციპლინებსა და მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესახებ საბაზო თეორიულ ცოდნას და გამოიმუშაონ შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევები, ჩამოიყალიბონ პროფესიული საქმიანობისას ეთიკის ნორმების დაცვის, ღირებულებების ფორმირებაში მონაწილეობასა და მათ დამკვიდრებაში მონაწილეობისთვის საჭირო პასუხისმგებლობა. კურსდამთავრებულებს პრაქტიკული საქმიანობის ფართო არჩევანი აქვთ, მათი სამუშაო ადგილი, რომლისთვისაც დამაკმაყოფილებელი იქნება ფსიქოლოგის ბაკალავრის აკადემიური ხარიხსი, შეიძლება იყოს საჯარო და კერძო სექტორის ისეთი სფეროები, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა, მართვა,, წარმოება და ბიზნესი, სოციალური დახმარება, კერძოდ: • კვლევითი ორგანიზაციები; • საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები; • ტრეინინგ ცენტრები; • ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარი; • ბავშვთა და მოზრდილთა პოლიკლინიკა; • ბავშვთა და მოზრდილთა სარეაბილიტაციო ცენტრები; • ბავშვთა და მოზრდილთა საკონსულტაციო ცენტრები; • სპეციალიზებული საბავშვო დაწესებულებები (საბავშვო ბაღი და სკოლა);

- სარეკლამო და RP ინდუსტრია;
- საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრები;
- კერძო პრაქტიკა.

ასევე, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებასა და დასაქმებას მომიჯნავე სპეციალობის დარგში და შეძლებს სწავლის გააგრძელებას სწავლების შემდგომ საფეხურზე ფსიქოლოგიის ნებისმიერ სპეციალობის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კატალოგი (http://tou.edu.ge);
- უნივერსიტეტის მისია (www.tou.edu.ge);
- ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისია, მიზნები და სტრატეგია (www.tou.edu.ge);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი N2);
- ვებგვერდი;
- პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის შეხვედრების ოქმები (დანართი N4);
- სკოლის საბჭოს ოქმები (დანართი N4);
- სენატის გადაწყვეტილებები (დანართი N4);
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. აღწერილი სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, კერძოდ ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები და მიზნები ერთმანეთს შეესაბამება.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, აღწერილი სწავლის შედეგების მიხედვით, სტუდენტი შეძლებს, ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული თეორიული მიდგომების, ძირითადი ცნებების, დარგის პრობლემატიკის, კონსტრუქტებისა და მათი გამოყენების კონტექსტის კრიტიკულ გააზრებას; შეძლებს ახსნას ფსიქოლოგიის პროფესიის სოციალური მნიშვნელობა, მისი მიზნები და ძირითადი ფუნქციები; სტუდენტი შეძენილ პრაქტიკულ უნარებს გამოიყენებს ფსიქოლოგიის კომპლექსური საკითხებისა და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად, მიმართავს ლოგიკურ, შემოქმედებით და ანალიტიკურ აზროვნებას; სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის, ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და რეკომენდაციის გაცემის დროს, ასევე კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში, გამოიტანს ეთიკური პასუხისმგებლობით განპირობებულ დასკვნებს; შეძლებს შეისწავლოს კონკრეტული შემთხვევა, დააკვირდეს ქცევას, მოახდინოს მისი კლასიფიცირება და ანალიზი, მოახერხებს სიტუაციის პროგნოზირებას, პრობლემის შესახებ პროფესიული ხედვის შემუშავებას; საკვლევი საკითხების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაამუშავებს ფსიქოლოგიის სფეროს მეცნიერულ ლიტერატურას, მოიძიებს რელევანტურ მონაცემებს და განმარტავს, გაანალიზებს მათ; ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, ზეპირი და წერითი ფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების შემოქმედებითად გამოყენებით, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად, ჩამოაყალიბებს მოსაზრებებს, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; ინგლისურ ენაზე, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით დაამყარებს კომუნიკაციას. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების აღწერისას ყურადღება გამახვილებულია კვლევის კომპონენტზე, კერძოდ, სტუდენტი იყენებს ფსიქოლოგიის მეცნიერებაში არსებულ კვლევის მეთოდებს (როგორც აპრობირებულს, ისე ცალკეულ უახლესს) და ქმნის კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკის საფუძველზე შესაძლებელი ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთშედარება.

ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური მოსწრების ანალიზს, პერიოდულ მონიტორინგსა და გამოკითხვას. სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე ხდება სილაბუსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა, პროგრამისა და სილაბუსის დონეზე მუშავდება მონაცემები და შედეგი დარდება პროცენტულ მაჩვენებელს. 20%-იანი გადახრის შემთხვევაში, სწავლის შედეგები თავიდან გადაიხედება. გარდა ამისა, უნივერსიტეტში დანერგილი შეფასების ტექნიკის მეშვეობით, ფიქსირდება პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა მიაღწია სწავლის თითოეულ შედეგს და შემდგომ დარდება სამიზნე ნიშნულს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი იზომება პროგრამაზე თანდართული შეფასების გეგმის მიხედვით იმ სემესტრის დასრულებისას, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას მოიაზრებს. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგი დავალებებით, აქტივობებითაც ფასდება. უნივერსიტეტი იყენებს არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს, როგორებიცაა დამსაქმებლების, სტუდენტებისა და

კურსდამთავრებულების გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, გადაიხედება და/ან შეიცვლება სწავლის შედეგები და/ან პროგრამის შინაარსი. პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იზომება აკადემიურ წელიწადში ერთხელ, სასწავლო კურსის ხელახლა განხორციელებამდე. ფიქრობენ, რომ ბაკალავრის საფეხურზე სამწლიანი სწავლის შედეგის საფუძველზე შეფასება რელევანტური იქნება. ფსიქოლოგიის სასწავლო პროგრამა შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ავტორობით ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელშიც პოტენციურმა დამსაქმებლებმა მიიღეს მონაწილეობა აღინიშნა, რომ სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულები მოახერხებენ დამსაქმებლებთან თანამშრომლობასა და კონკურენტუნარიანები იქნებიან დასაქმების ბაზარზე. კურსდამთავრებული შეძლებს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, როგორიცაა მაგისტრატურა. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან გაირკვა, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩაერთო ყველა პროგრამით დაინტერესებული პირი: აკადემიური, მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები. ვინაიდან, პროგრამა ახალია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობაზე საუბარი შეუძლებელია. ვინაიდან პროგრამა ახალია, წინასწარ შეუძლებელია იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად მიიღებენ პროგრამით დაინტერესებული პირები სწავლის შედეგების გაცნობის ღონისძიებებში მონაწილეობას, ასევე, რთულია იმაზე მსჯელობა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს თუ არა მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, თუმცა ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუებიდან კარგად იკვეთება, რომ ისინი უკვე სათანადოდ იცნობენ შედეგების შეფასების მექანიზმს. საერთო საფაკულტეტო საგნის წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი აქტიურად ზრუნავს პროგრამის განმახორციელებლების ამ კუთხით დროულად ინფორმირებასა და განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის სწავლის შედეგები, მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და გეგმა, კურიკულუმის რუკა; (დანართი N1); • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი N2); • პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი N4); • დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები (დანართი N5); • და შეფასების წესი (დანართი N14);ვებგვერდი; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი/წესი -ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები • სამიზნე ნიშნულები (http://tou.edu.ge/Quality-Assessment-Mechanisms); • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მიღების წინაპირობების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის უსდ-ის ვებგვერდზე და ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; • უსდ-ის ვებგვერდი; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს. 240 კრედიტიანი პროგრამა შედგება (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (50 კრედიტი, მათ შორის ინგლისური ენა 30 კრედიტი), (ბ) ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (120 კრედიტი, მათ შორის საბაკალავტო ნაშრომი (10 კრედიტი) და პრაქტიკა (10 კრედიტი)) და (გ) საუნივერსიტეტო არჩევითი, სპეციალობისა და არასპეციალობის არჩევითი საგნების კომბინაცია (70 კრედიტი). აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის წარმოდგენილი. პროგრამაში შემავალ ზოგიერთ კურსზე არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა კურსის/კურსების გავლას.

პროგრამის ფარგლებში, სავალდებულო კურსებთან ერთად, შეთავაზებულია არჩევითი კურსები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად გაიღრმავოს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში სტუდენტებს 30 კრედიტის მოცულობით შეეთავაზებათ ინგლისური ენა, მათ შორის, 10 კრედიტი პროფესიული ინგლისურის ათვისებას ეთმობა. ასევე, უსდ-ის საერთაშორისო კონტაქტებისა და პარტიონი უნივერსიტეტების ჩამონათვალის გათვალისწინებით, სტუდენტებს შეეთავაზებათ მეორე უცხო ენა (ფრანგული, გერმანული, რუსული და ჩინური ენები).

წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია უსდ-ის შიდა მოხმარების ელექტრონულ სისტემაში. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი N1);
- კურიკულუმის რუკა (დანართი N1) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და პროცედურები) (დანართი N14 http://tou.edu.ge/Quality-Assessment-Mechanisms);
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი (დანართი N8);
- ვებგვერდი http://tou.edu.ge;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები- განმავითარებელი ჯგუფის შეხვედრების ოქმები (დანართი N4);
- გამოკითხვის შედეგები (დანართი N5);
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ვინაიდან პროგრამის კვალიფიკაცია წარმოდგენილია 69/ნ ბრძანებით, ახალი ჩარჩო და კლასიფიკატორი არ ითვალისწინებს ისეთ ტერმინს, როგორიცაა „სპეციალობა“. შესაბამისად, სასურველია პროგრამაც შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ამ მოცემულობასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, ფაქტობრივად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის მოდული და თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული კურსი.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით და 5 კრედიტს შეადგენს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

ვიზიტის მსვლელობისას გაიმართა მსჯელობა რამდენიმე სავალდებულო, ბაზისური კურსის მოცულობასთან დაკავშირებით, კერძოდ, საუბარი იყო სოციალური, განვითარების, კოგნიტური და პიროვნების ფსიქოლოგიის, ასევე, კვლევის მეთოდების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა არგუმენტაცია აღნიშნული კურსების არსებული სახით წარმოდგენის როგორც სასარგებლოდ, ისე – საპირისპიროდ, თუმცა წარმოდგენილ პროგრამაში სამუშაო ჯგუფის მიერ საბოლოოდ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად იქნა აღნიშნული კურსები გადანაწილებული. ამ ვითარებამ შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმებიდამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;

- ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- სავალდებულო კურსების: კვლევის მეთოდების, სოციალური ფსიქოლოგიის, განვითარების ფსიქოლოგიის, პიროვნების ფსიქოლოგიისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის მოცულობის გაზრდა (5 კრედიტის ნაცვლად 10 კრედიტი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში,კვლევის მონაცემთა დამუშავება SPSS-ით, ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები და საბაკალავრო ნაშრომი. კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა შესაბამისი კურსების სწავლების სემესტრსა და სწავლების მერვე სემესტრში, როდესაც სტუდენტები მუშაობენ საბაკალავრო ნაშრომზე. ყველა ამ კვლევით კომპონენტში სტუდენტებს სუპერვიზიას/ხელმძღვანელობას უწევენ ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამასა და თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული წესით აფასებენ სტუდენტების კვლევითი საქმიანობას.

პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია პროგრამაში შემავალი ფართო სპექტრის ისეთი არჩევითი სასწავლო კურსების სახით, როგორებიცაა ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები, კონფლიქტის მართვის ფსიქოლოგია, ფსიქოთერაპიის საფუძვლები, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები, კლინიკური ფსიქიატრიისა და ფსიქოლოგიის საფუძვლები, კრიმინალური ქცევა და საგამოძიებო ინტერვიუირება, გეშტალტთერაპიის საფუძვლები, პოზიტიური ფსიქოლოგია და პროფესიული პრაქტიკა, რომლის

მიზანია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ოპერაციონალიზაცია, რეალურ სამუშაო გარემოში ათვისებული ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კომბინირება და იმ პრაქტიკული უნარების გამომუშავება, რომლებიც შეუძლებელია მხოლოდ თეორიული სწავლებით. პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტი მენტორის/სუპერვაიზორის ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებლად ასრულებს სხვადასხვა დავალებას და მასზე პასუხისმგებელი იქნება როგორც პრაქტიკის ხელმძღვანელი უსდ-დან, ისე მიმღები ორგანიზაციის კომპეტენტური წარმომადგენელი. საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და პროგრამის პედაგოგების მიერ შეთავაზებული ქვეყნისთვის აქტუალური საკვლევი თემების შეჯერების საფუძველზე ირჩევს. ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) სტუდენტი პედაგოგის საქმიანობის სფეროს საკუთარ კვლევის ინტერესთან შესაბამისობისა და საკუთარი ინტერესების მიხედვით ირჩევს. თითოეული სტუდენტი თავის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს), საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ხვდება რეგულარულად, რათა სტუდენტს ჰქონდეს კვლევის დინამიკაზე ანგარიშგების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგს – სათანადო კონსულტირების საშუალება. რაც შეეხება **ტრანსფერულ უნარებს,** პროგრამაში შემავალ პრაქტიკულად ყველა კურსს, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, თავისი წვლილი შეაქვს მათ განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები (დანართი N1); • პრაქტიკის უზრუნველმყოფ ორგანიზაციებთან გამფორმებული მემორანდუმები (დანართი N6); • ბაკალავრიატის დებულება (დანართი N7); • პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ავსებს ერთმანეთს და სტუდენტი/ლექტორი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევამდე მიჰყავს, კერძოდ, პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორებიცაა ამობრუნებული სწავლება, ანალიზი, აუდიო-ლინგვო, ახსნა-განმარტებითი, გონებრივი იერიში და დისკუსია/დებატები, დედუქციური და ინდუქციური მეთოდები, ვიდეოჩვენებები, თანამშრომლობითი სწავლება, მაგალითების გენერირება და პრატქიკული სამუშაო, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, წიგნზე მუშაობა და ჯგუფური მუშაობა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოყენებული მეთოდების ეფექტურობისა და უკუკავშირის შესახებ მსჯელობა, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ჯერ სტუდენტი/კურსდამთავრებული არ ჰყოლია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის მსვლელობისას განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში მართებულად არის შერჩეული მეთოდები, ცალეკული კურსებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი N1);
- საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი;
- სწავლა-სწავლების მეთოდები (დანართი N1);
- სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება მრავალ კომპონენტიანია და თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას უზრუნველყოფს, რაც კონკრეტული, გაზომვადი რუბრიკების გამოყენებით მიიღწევა. შეფასება ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა, ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა და გამჭვირვალობა;

ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომლიდანაც შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) შეფასების წილი 60 ქულას, ხოლო დასკვნითი შეფასების წილი -- 40 ქულას შეადგენს. სტუდენტების შეფასებისას გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე, 30%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 21 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია ის ძირითადი შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც მეტწილად უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას როგორც პროგრამის თითოეული კურსის, ასევე, თითოეული კომპონენტის ფარგლებში.პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები მორგებულია კურსის სპეციფიკაზე.

კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სისტემის გაცნობას ლექტორი დამატებით ახორციელებს პირველივე ლექციაზე.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების თანასწორი და სამართლიანი სისტემა და შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვისა დაშუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულის გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, მოითხოვოს ნაშრომის კიდევ ერთხელ გასწორება. ამისათვის მან უნდა წარადგინონ განცხადება, სადაც არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთონ ნაშრომის ხელახლა გასწორების საჭიროება.

სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სანდოობა უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების მონაწილეობით. კერძოდ, სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაწილეობს კურსის ხელმძღვანელი, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების პროცესში ჩართულია ნაშრომის ხელმძღვანელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები (დანართი N1);
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები (დანართი N1);
- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი – სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვებგვერდი;
- პროგრამის ხელძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით სათანადო კონსულტაციას იღებენ, აქტიურად ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები. სტუდენტების კონსულტირებაში მონაწილეობენ: დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კარიერული ზრდის ცენტრი, სკოლის მენეჯერი, სამეცნიერო კვლევის ცენტრი. ისინი სტუდენტებს სხვადასხვა აქტივობებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე აწვდიან ინფორმაციას. საჭიროებისამებრ, უწევენ პირად კონსულტაციას. ინტერვიუს პროცესში აისახა სასწავლო პროგრამაში ჩართული თითოეული პირის მზაობა იმისა, რომ სტუდენტებს მაქსიმალურად კომფორტული და საინტერესო გარემო შეუქმნან. სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი საკონსულტაციო განრიგს წინასწარ შეიმუშავებს, რაც სასწავლო პროგრამის მართვის ელექტრონულ პორტალზე თითოეულ

სტუდენტს ინდივიდუალურად აესახება. კონსულტაციის შესახებ ინფორმაციას პერსონალის დატვირთვაც მოიცავს.

უნივერისტეტში ფუნქციონირებს კარიერული ზრდის ცენტრი, რომელიც აქტიურადაა ჩართული სტუდენტების ინფორმირებასა და დასაქმების პროცესში.

სტუდენტებისათვის წელიწადში ორჯერ იმართება დასაქმების ფორუმი, რომელზეც ეცნობიან შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხვდებიან დამსაქმებლებს. ასევე, იმართება შერეული ტიპის დასაქმების ფორუმები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ, საკუთარი ინიციატივით გაეცნონ კონკრეტულ კომპანიებს. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ადმინისტრაცია აქტიურად ამოწმებს, იღებენ თუ არა სტუდენტები, დასაქმების საკითხთან დაკავშირებით მათ ინტერესებთან მორგებულ ინფორმაციას. უნივერსიტეტის წარმომადგენლები სტუდენტებს პირადად უზიარებენ კონსულტაციებთან დაკავშირებულ სიახლეებს, მიმდინარე შემოთავაზებებს. ამასგარდა, სტუდენტებისთვის განკუთვნილ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა თითოეულ მათგანს აძლევს შესაძლებლობას, მართოს სასწავლო პროცესი, სტუდენტებთან, ლექტორებთან უპრობლემოდ დაამყაროს კომუნიკაცია.

ვინაიდან, პროგრამა ახალია, შეუძლებელია, სასწავლო პროგრამაში ჩართული სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელზე საუბარი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული ისეთ პრაქტიკის ობიექტებთან, როგორებიცაა: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23-ე საჯარო სკოლა, სს „ევექსის ჰოსპიტლები“, განვითარების ცენტრი „აიდისი“, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი „Save the Children International”-ის საქართველოში წარმომადგენელი ოფისი და სხვა. დამსაქმებლები მზად არიან, სტუდენტებმა მათი მხარდაჭერით გაიარონ პრაქტიკა. დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივაზეც ისაუბრეს, მათ ფსიქოლოგის სპეციალობის კადრი ესაჭიროებათ.

ინტერვიუს ფარგლებში რამდენიმე სტუდენტებმა და კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ სტაჟირება უნივერსიტეტის დახმარებით გაიარეს, მაგალითად, ჟურნალისტიკის მიმართულებაზე ნახევარსემესტრიანი სტაჟირება სერტიფიკატით. აღნიშნეს, რომ მესამე კურსის დასასრულს აქვთ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. ისინი აქტიურად იღებენ ინფორმაციას დასაქმებაზე, კონსულტაციებზე, სხვადასხვა პროექტებზე, კონფერენციებზე, ღონისძიებებზე. სტუდენტები მონაწილეობენ შიდა და გარე კონფერენციებში. აკადემიური/მოწვეული პერსონალი სტუდენტებს დამოუკიდებლად შერჩეული თემის სათანადოდ წარდგენასთან დაკავშირებით უწევს კონსულტაციას. ინტერვიუს მსვლელობისას ისაუბრეს სდასუ-ს კონფერენციაში მიღებულ გამოცდილებაზე, რომლის ფარგლებში სტუდენტების ნამუშევრებზე წიგნიც დაიბეჭდა. მონაწილეობა მიიღეს ესეების კონკურსში – უახლოეს წარსულში რუსეთსა და ჩინეთთან დაკავშირებულ თემაზე იმუშავეს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი ცდილობს მოერგოს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და მათ მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას, რაც სასწავლო ცხრილის, გარემოს, ინფრასტრუქტურის სტუდენტების როგორც უნივერსალურ, ისე ინდივიდუალურ საჭიროებებთან თანხვედრაში ისახება.

უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კვლევებში. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან, როგორებიცაა: „ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი“ (აშშ), „ნიქოზიის უნივერსიტეტი“ (კვიპროსი), „ლანჟოუს უნივერსიტეტი“ (ჩინეთი) და სხვა. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ „ლანჟოუს უნივერსიტეტის“ გაცვლითი პროგრამით უსარგებლიათ. ამასგარდა, თბილისის ღია უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „საზაფხულო სკოლა“, რომლის ფარგლებშიც უცხოელი სპეციალისტები სტუდენტებთან შეხვედრებს

არასასწავლო გარემოში აწყობენ. უახლოეს წარსულში „საზაფხულო სკოლაში“ სამართლის მიმართულების სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. ასევე, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტი ზოგიერთი ფაკულტეტის სტუდენტებს Erasmus +-ით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს. ისინი ნებისმიერ ღონისძიებაზე, პროექტზე, კონფერენციაზე თუ გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებულ აქტივობებზე ინფორმაციას იღებენ პირადად პერსონალისგან, ვებგვერდის (www.tou.edu.ge), ელექტრონული პორტალის (www.ini.ge) საშუალებით, მეილით, სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/openuni.edu.ge) ღია სასწავლო უნივერსიტეტის გვერდიდან და სტუდენტებისათვის განკუთვნილი დახურული ჯგუფში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პერსონალის სამუშაო აღწერილობები; ▪ შრომითი კონტრაქტები; ▪ პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმები; ▪ უნივერსიტეტის სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის კითხვარი; ▪ უსდ-ის ვებგვერდი; ▪ სოციალური ქსელი; ▪ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის უზრუნველმყოფ პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას განახორციელებს სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, რომელიც ფლობს როგორც შესაბამის აკადემიურ ხარისხს, ისე ფართო მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების, პუბლიკაციებისა და პრაქტიკული პროექტების ჩამონათვალით. აკადემიური და მოწვეული

პერსონალის კვალიფიკაია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ასახულია უსდ-ის შინაგანაწესში. პროგრამის აკადემიური პერსონალით დაკომპლექტება მოხდა გასულ წელს გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო მოწვეული ელქტორების შერჩევა მოხდა კონკურსის გარეშე, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე. წარმოდგენილ პროგრამას განახორციელებს 18 აკადემიური და 23 მოწვეული პერსონალი და, ასევე, 3 ასისტენტი (მათ შორის, 2 აფილირებული) (სულ 43). ამასთან, აკადემიური პერსონალიდან 4 ასისტენტ პროფესორია (2 აფილირებული), 8 ასოცირებული პროფესორი (4 აფილირებული) და 6 აფილირებული პროფესორი. აღნიშნულ პერსონალს შორის, 31 დარგის სპეციალისტია (სულ 10 აფილირებული). აკადემიური და მოწვეული პერსონალის ამგვარი შემადგენლობა წარმოდგენილი პროგრამის მდგრადობისა და ხარისხის მყარ წინაპირობას წარმოადგენს. აკადემიური პერსონალის დატვირთვა ასახავს საქმიანობის რამდენიმე ასპექტს, ესენია: სწავლება, სწავლების მეთოდებისა და კურიკულუმის განვითარება, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა. თანაფარდობა უსდ-ის აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შორის, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, მიზნების მიღწევასა და სტუდენტებთან ინდივიდუალურ მიდგომას. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თეორიული თუ პრაქტიკული პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებას. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი დებულების თანახმად, საგანმამათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული/ პრაქტიკული გამოცდილების მქოდე პირი. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი აკადემიური ხარისხი და პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება ფსიქოლოგიის მიმართულებით. ამასთან, იგი უსდ-ის აფილირებული აკადემიური პერსონალია. წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, უმეტესწილად, ახალგაზრდა მეცნიერთა თაობის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, რაც უსდ-ის გაცხადებული პოლიტიკაა და გამოიკვეთა ინტერვიუების დროსაც ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ზოგიერთი მათგანი სადოქტორო სწავლების ბოლო ეტაპზეა და უახლოეს მომავალში მიიღებენ შესაბამის ხარისხს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ბაკალავრიატის დებულება (დანართი N7); • პერსონალის მართვის წესი (დანართი N8); • უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები (დანართი N8); • პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დანართი N9); • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმები (დანართი N12); • შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები (დანართი N12); • საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩამონათვალი (დანართი N13)

- უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამაში ჩართულ არჩევით (უფრო პრაქტიკულ, სპეციალიზაციის) კურსებისთვის ისეთი ადამიანური რესურსის მობილიზება მოწვეული სპეციალისტების სახით, რომელსაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს მოცემულ სფეროში და აქტიური, მოქმედი პრაქტიკოსია დღესდღეობითაც.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან საგანმანათლებო პროგრამა ახალია, მისი განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ძირითად ნაწილს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება ჯერჯერობით არ აქვთ, გარდა პროგრამაზე ინტენსიურად მუშაობის პროცესისა. თუმცა ისინი ინფორმირებულნი არიან პერსონალის განვითარებისა და საქმიანობის მხარდაჭერის მიმართულებით უსდ-ის პოლიტიკისა და მიდგომების შესახებ. მათ მიიღეს უნივერსიტეტის მხრიდან სამომავლო პროფესიულ განვითარებაში მხარდაჭერის პირობა.

თუმცა, შესაძლებელია ამ მიმართულებით უსდ-ის ზოგადი საქმიანობის შეფასება. მას შემუშავებული და დეტალურად აქვს გაწერილი პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცედურები, კრიტერიუმები, განვითარების პროგრამის დაგეგმვის სტრატეგია და პერსონალის დაწინაურება-წახალისების მექანიზმები და ფორმები. ხარისხის სამსახური რეგულარულად უზრუნველყოფს პერსონალის კმაყოფილების კვლევას. პერსონალისათვის სათანადო პირობების შექმნა კი ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. უსდ-ში ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება, პროცესის ანალიზი და კურსის განმახორციელებელთან ერთად სიტუაციის შეფასება. ასევე, დამკვიდრებული პრაქტიკაა პერსონალის თვითშეფასება.

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, აღწერილი აქტივობები ჯერ მის ფარგლებში არ განხორციელებულულა.

რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას, ამ მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული და/ან სწავლების უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს. უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება ღია ლექციები საჯარო თუ კერძო სტრუქტურებიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ. ხარისხის მართვის სამსახური ყოველწლიურად ატარებს ტრენინგს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდების გაცნობაზეა მიმართული. გარდა ამისა, უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის სამსახურის ეგიდით ტარდება პიროვნული ზრდის სხვადასხვა ტრენინგი. უნივერსიტეტი პერიოდულად მასპინძლობს და თავად ატარებს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებს, რომლებშიც უსდ-ის აკადემიური/მოწვეული პერსონალიც მონაწილეობს. უნივერსიტეტი ხელსუწყობს პერსონალის კვლევით პროექტებში მონაწილეობას და აფინანსებს მათ. ყოველწლიურად გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი. უნივერსიტეტის სამომავლო გეგმებში შედის აკადემიური პერსონალის პარტნიორ უნივერსიტეტებში მობილობის უზრუნველყოფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი; • პერსონალის განვითარების ღონისძიებები (დანართი N10); • პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები; • საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი N11) • უსდ-ის ვებგვერდი; • უსდ-ის ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებლთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ვიზიტი ონლაინ რეჟიმში წარიმართა და, შესაბამისად, მატერიალურ რესურსებზე მსჯელობა წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და უსდ-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე გახდა შესაძლებელი. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, მათ შორის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მომავალი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, კომპიუტერული კლასები, უფასო ინტერნეტი უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით (100 ადამიანზე), ელექტრონული და ბეჭდური წიგნების ფონდით და შესაბამისი ელექტრონული ბაზით, ელექტრონული კატალოგით. უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული შენობა - ნაგებობები პასუხობს უმაღლესი სასწავლებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სრულიად დაცულია უსაფრთხოების, სანიტარულ - ჰიგიენური და სხვა ტექნიკური ნორმები. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია ელექტრონულად სახელმძღვანელოების, საკითხავი მასალის კრებულების, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის სახით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (:https://doaj.org/; http://www.opendoar.org/index.html; http://roar.eprints.org/). უნივერსიტეის ბიბლიოთეკაში ჩართულია პროგრამა Codex, რაც სტუდენტებს საკანონმდებლო და სამართლებრივ რესურსებით სარგებლობის საშუალებას აძლევს. უზრუნველყოფილია ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის ონლაინ-დათვალიერება; • საერთაშორისო საბიბლიოთეკო და აკადემიური ბაზები; • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი; • უსდ-ის ვებგვერდი; • სილაბუსებში დასახელებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა; • თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები; • ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი (ორ სასწავლო წელზე) დეტალურია, ნათლად არის წარმოდგენილი ხარჯვითი ნაწილი, დამაკმაყოფილებია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი არის სასწავლო უნივერსიტეტი, ბიუჯეტში გათვალისწინებულია კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი აქტივობები, რაც ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროსაც აღინიშნა. ბიუჯეტის დაგეგმარება მიმართულია პროგრამის მატერიალურ ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, სტუდენტების მხარდაჭერაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, საერთაშორისო ელექტრონული რესურსების წვდომის უზრუნველყოფაზე, პერსონალის ანაზღაურებასა და მივლინებაზე, კვლევითი საქმიანობის და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის ბიუჯეტი (დანართი N15); • უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, უკვე განხორციელებულ ღონისძებებზე საუბარი შეუძლებელია, თუმცა თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახური, რომლის მიზანია საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების, სწავლებისა და კვლევის ხარისხის შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების ხელშეწყობა. მიზნის მისაღწევად, დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები, მაგალითად: სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, დასაქმების ბაზრის კვლევა, სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, სასწავლო/სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასება და თვითშეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზა და სხვა. ყოველივე ზემოაღნიშნულის რეალიზებისთვის უსდ სხვადასხვა ინსტრუმენტს იყენებს, როგორებიცაა სასწავლო პროცესზე დაკვირვება, სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუირება. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ინსტრუმენტები დეტალურად არის აღწერილი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და თვითშეფასებაში.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შედეგების ანალიზისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ხარისხის სამსახური ამზადებს ანგარიშს და უსდ-ის პერსონალს აცნობს რეკომენდაციებს, რის შედეგადაც იგეგმება შესაბამაისი ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით. ხარისხის სამსახურის მუშაობის შედეგების კარგი ილუსტრაციაა ბოლო პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ: სასწავლო გარემოს და მეტერალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სასწავლო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესება, სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება, ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სტუდენტთა და პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეფუძნება „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის სამსახური მჭიდროდ და სისტემატურად თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსთან, რასაც ადასტურებს როგორც უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, ისე – აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და ინსტრუმენტების შესახებ, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა ვიზიტის მსვლელობისას.

ასევე, უსდ-მ წარმოადგინა დამსაქმებელთა გამოკითხვის და მოთხოვნების ანალიზის შესახებ ანგარიში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის ოქმები (დანართი N4);
- ხარისხის უზურველყოფის მექანიზმები (დანართი N5);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესი (დანართი N14);
- თვითშეფასების ანგარიში;
- მომიჯნავე სპეციალობის კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ახალია. მისი განვითარების პროცესში, მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, გათვალისწინებულ იქნა პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების და დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოსაზრებები და უკუკავშირი. აგრეთვე, შესწავლილ იქნა ანალოგიური უცხოური პროგრამები და წარმოდგენილ პროგრამაზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა საუკეთესო პრაქტიკა.

ზოგადად, უნივერსიტეტში დანერგილია გარე შეფასების მექანიზმები, რომლებსაც წარმოდგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაც დაექვემდებარება. კერძოდ, გარე კოლეგიალური შეფასება ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ, ყოველ ორ წელში ერთხელ ხდება მიმდინარე პროგრამების დადარება უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან. უნივერსიტეტში იზიარებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და ექსპერტთა რჩევებს, რაც პროგრამების შემდგომ დახვეწას უწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი N1);
- უცხოეთის უნივერსიტეტებთან პროგრამის დადარებისა და გამოხმაურებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი N5);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და წესები (დანართი N14);

- ხარისხის სამსახურის უფროსთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, უკვე განხორციელებულ ღონისძებებზე საუბარი შეუძლებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს მიმდინარე პროგრამების მონიტორინგს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასებას, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევასა და შედეგების ანალიზს.

უნივერსიტეტის ზოგადი ფუნქციონირების, სწავლებისა და კვლევის ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით, გამოვლენილი ხარვეზები და რეკომენდაციები წარედგინება უნივერსიტეტის სენატს. ხარისხის სამსახური, ასევე, აფასებს განხორციელებული რეაგირების შედეგებსა და ახდენს ანგარიშგებას დაინტერესებული მხარეებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ინსტრუმენტები და ანგარიშები წარმოდგენილია დანართებსა და თვითშეფასების დოკუმენტში.

ვინაიდან ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ახალია, განხორციელდა კოლეგიალური და პოტენციური დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება, უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება და მასში გათვალისწინებულ იქნა საუკეთესო პრაქტიკები და უკუკავშირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და წესები (დანართი N5 და N14);
- გამოკითხვის ფორმები;
- დასაქმების და სწავლების შემდეგ საფეხურზე გადასვლის მაჩვენებლები;
- კვლევებისა და შეფასების შედეგები;
- კვლევის შედეგების გამოყენება;
- უცხოეთის უნივერსიტეტებთან პროგრამის დადარება და გამოხმაურებები;

• პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება; • კოლეგიალური შეფასების დასკვნა; • დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი; • მომიჯნავე სპეციალობის კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თინათინ ფანცულაია

თინათინ გვაძაბია



რუსუდან ბოჭორიშვილი